აუტსაიდერიც საშიშია ხოლმე

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 12 ივლისი.

“დინამო” (თბილისი) – “ნეფთჩი” (ბაქო) 1:1 (0:0).

“დინამო”: გოგია, სულაქველიძე, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე (კანთელაძე), მინაშვილი (ჭილაია), ჩელებაძე, კოპალეიშვილი.

“ნეფთჩი”: კრამარენკო, გარიბოვი, პავლენკო, უზბეკოვი, ნამაზოვი, მიხაილოვსკი (პონომარიოვი), საპოჟნიკოვი, ნურმამედოვი, ალიევი, ყურბანოვი, შიხლაროვი (ახანოვი).

მსაჯი: ვ. ბასკაკოვი (მოსკოვი).

ლიდერისა და აუტსაიდერის ამ მატჩის წინ საგანგებოდ გადავხედეთ ბაქოს “ნეფთჩის” წლევანდელ დოსიეს, გუნდის შედეგებს ჩემპიონატში და ბევრ ვერაფერს სახარბიელოს სტუმრებისთვის ვერ მივაგენით. ბაქოელებს 16 მატჩში გაეტანათ სულ 6 ბურთი, თანაც ამ თითებზე ჩამოსათვლელი გოლებიდან 4 საკუთარ მინდორზე იყო გატანილი და მხოლოდ 2 – გასვლაზე. 11 მატჩში “ნეფთჩის” საერთოდ მოეცარა ხელი, მის აქტივში არ ითვლებოდა არც ერთ ბურთი. ელემენტარული ანალიზი უფლებას გვაძლევდა გვევარაუდა, რომ თბილისელებს პირველი წრის ფინიშზე არ უნდა გასჭირვებოდათ სალიდერო პოზიციების განმტკიცება, მით უმეტეს, რომ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის საფეხბურთო ტურნირში საქართველოსა და აზერბაიჯანის გუნდები ერთ ქვეჯგუფში არიან მოხვედრილი. ორივე რესპუბლიკის ნაკრები კოლექტივები კი პრაქტიკულად ისევ ამ მატჩის მონაწილენი არიან – თბილისის “დინამო” და ბაქოს “ნეფთჩი”. ამდენად, თამაში ერთგვარ რეპეტიციასაც წარმოადგენდა სპარტაკიადის წინ და სრული პასუხისმგებლობით მიდგომას მოითხოვდა მეტოქეთაგან.

თუ ვინმე იყო “ნეფთჩის” ქომაგი ამ დღეს სტადიონზე, ეს პასუხისმგებლობა და მაქსიმალური თავდადება თავისი გუნდის მოთამაშეთა მხრივ თვალნათლივ იხილა და კმაყოფილიც დარჩა ლიდერთან ღირსეულად აღებული ქულით. დინამოელთა გულშემატკივრებს კი ამ დღეს არაფერი ჰქონდათ სასიხარულო, მატჩი ნერვიულად დაძაბული, მძიმე გამოდგა. დავკარგეთ უაღრესად საჭირო ქულა და ამას გარდა სატურნირო ცხრილში ფრეების რაოდენობა ავიყვანეთ 6–მდე, რაც იმას ნიშნავს, რომ მეორე წრის წინამდებარე 17 მატჩში სულ ორჯერ შეგვიძლია ვიქონიოთ მშვიდობიანი შედეგის იმედი, სხვა შემთხვევებში კი დაგვჭირდება მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრი. ეს მნიშვნელოვნად ართულებს საქმეს.

ჩვენ არ გვინდა ავყვეთ ზედმეტ ემოციებს და გაუმართლებელი საყვედურები გამოვთქვათ დინამოელთა მიმართ. ანგარიში უნდა გავუწიოთ, რომ გუნდი კვლავ განახევრებული შემადგენლობით გამოდის მინდორზე, აკლია წარმმართველი ძალა და ამიტომ გარკვეულ კომპრომისზე უნდა წავიდეთ. ამ მატჩში, მაგალითად, ჩვენს გუნდს პირწმინდად, მთლიანად აკლდა თავდასხმის მთელი რგოლი (გუცაევი, ყიფიანი, შენგელია) და, დაგვეთანხმებით, ასეთ კლასის სამეულის შეცვლა ტოლფასოვანი სიძლიერის მოთამაშეებით ერთი კლუბის შესაძლებლობათა ფარგლებში ყოვლად შეუძლებელი საქმეა. დაუმატეთ ამას ადრე ტრავმირებულნი კოსტავა, რუხაძე, ხიზანიშვილი, გ. მაჩაიძე. ძალზე გრძელი სიაა. ასეთ პირობებში მწვრთნელებს

მოსპობილი აქვთ შემადგენლობის მანევრირების ყოველგვარი საშუალება და მინდორზე გამოჰყავთ იძულებითი შემადგენლობა, მხოლოდ ისინი, ვისაც შემცვლელის როლი შეუძლია ითამაშოს.

ყველაფერი ეს საპატიო მიზეზებია და მხედველობაში მისაღები, მაგრამ არის სადავო ასპექტებიც. მაგალითად, დინამოელთა შემადგენლობაში იყო მხოლოდ ერთი, ერთადერთი წმინდა ფორვარდი – ჩელებაძე, ერთ თავდამსხმელს კი რაც არ უნდა მხარდაჭერა ჰქონდეს ნახევარმცველთა მხრივ, არ შესწევს ძალა გაარღვიოს მეტოქის გაძლიერებული დაცვა. ასეც მოხდა. ჩვენი ნახევარმცველები, თითქოს, ბევრს ცდილობდნენ, ბევრს მოძრაობდნენ, მაგრამ მათი აქტიურობა იფარგლებოდა შუა მინდორზე მიღწეული ტერიტორიული უპირატესობით, "ნეფთჩის" კართან მიახლოებისას კი გოლის გატანის რეალური შანსი ნაკლებად იქმნებოდა.

ბაქოელებს, პირველი ხუთიოდე წუთის გამოკლებით, თითქმის არც ერთ პერიოდში არა ჰქონიათ კონტრთამაში. მათი წინა ხაზის მოთამაშეები ერთი–ორჯერ თუ გამოჩნდნენ "დინამოს" კართან, სხვა დროს კი გუნდი მთელი შემადგენლობით ჩაკეტილი იყო თავის ნახევარზე და გამუდმებით იგერიებდა მოწინააღმდეგის შეტევებს. მაგრამ ეს "ერთი–ორი" საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ შეცვლაზე გამოსულ ახანოვს 77–ე წუთზე ზუსტი შორეული დარტყმით აეღო მასპინძელთა კარი.

საპასუხო გოლს დინამოელთა მთელი ძალების მობილიზება დაჭირდა, ბოლოს მდგომარეობა იხსნა მაჩაიძემ, რომელმაც ასევე შორიდან დაბალი ბურთი გაგზავნა კრამარენკოს კარში და დარტყმამ, როგორც იქნა, მიაღწია მიზანს.

უპირატესობა, ტერიტორიულიც, ე.წ. სათამაშოც მთელი მატჩის მანძილზე დინამოელთა მხარეს იყო. მაგრამ ტაქტიკური სიღარიბის, ერთფეროვნების, ყოვლად გაუმართლებელი შაბლონის გამო ჩვენმა გუნდმა მხოლოდ ფრეს მიაღწია, ეს კი ერთობ არადამაკმაყოფილებელი შედეგია.

ბ. ქორქია.
"ლელო", 14 ივლისი, 1979 წ.